2025 წლის 3 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
(30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა - 3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამულ იკოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებუ ლი მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებუ ლი მოცულობა	3 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი არსებობის შემთხვევაში)
30 02	<u>სახელმწიფო საზღვრის დაცვა</u>	144 300,0	144 500,0	33 611,3	23,3 %	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჰაერო ფლოტის მხარდაჭერა.

2025 წლის 3 თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (181 ფაქტი დაკავებულია 181 პიროვნება):

– დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის 112 საქმეზე, დაკავებულია 112 პირი:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 69 ფაქტი დაკავებულია 69 პირი.

2025 წლის 1 კვარტალში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 337 937 ლარი .

2025 წლის საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილია ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებს საჰაერო ფლოტის მოდერნიზაციას და განახლებას:

- შეძენილია 2 კომპლექტი ელექტრო-ჰიდრავლიკური ბუქსირების მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია უსაფრთხოდ განახორციელოს H-125 (AS-350) და H145 (BK-117D3, AS-145) შვეულმფრენებით სხვადასხვა ტვირთის ბუქსირება (155 750 ლარი).